ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

,,ვამტკიცებ"

თავდაცვის,საზოგადოებრივი წესრიგისა
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ფრიდონ შენგელია

14 თებერვალი 2024 წელი

N 7/36

ეგზ.: N1

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
2022 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ძირითადი ნაწილი

ტერმინები და შემოკლებები	2
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
მოსაზრება	5
1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	6
2. სხვა გარემოებები	14
3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	20
ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	23
კონსოლიდირებული ერთეულები	72
საკონტაქტო ინფორმაცია	73

დანართები

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

აღსრულების ეროვნული ბიურო – სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

ბილინგის სისტემა – სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული სისტემა, სადაც ცენტრალიზებულად მიმდინარეობს კლიენტების მიერ მომსახურების საფასურის გადახდა და აღრიცხვა.

დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო – სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

ეროვნული არქივი – სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი – სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

იუსტიციის სახლი – სსიპ – იუსტიციის სახლი.

მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი – სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

საკანონმდებლო მაცნე – სსიპ – საკანონმდებლო მაცნე.

საჯარო რეესტრის სააგენტო – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სერვისების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ციფრული მმართველობის სააგენტო – სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფას, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და კანონიერების განმტკიცებას. სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, ნორმატიული აქტების პროექტებისა და ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, არბიტრაჟებში ან უცხო ქვეყნების სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობა, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება, სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა აღრიცხვის და მათზე დოკუმენტების გაცემის მოწესრიგებული სისტემის შექმნა და სხვ.

2022 წელს სამინისტროს მმართველობის სფეროში იყო 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) და ერთი საქვეუწყებო დაწესებულება, რომელთა დაფინანსების წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2022 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

დასახელება	თავდაპირველად დამტკიცებული	დაზუსტებული	% სხვაობა	საკასო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	310,568,400	339,898,350	9%[1]	340,721,907
მომუშავეთა რიცხოვნობა	5,091			
ხარჯები	239,456,400	278,756,995	16%	279,512,181
მათ შორის, შრომის ანაზღაურება	96,191,400	92,870,205	-3%	93,017,075
არაფინანსური აქტივების ზრდა	56,112,000	61,141,355	9%	61,209,726

[1] ზრდა ძირითადად უკავშირდება დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილ თანხას - 19,119,947 ლარის ოდენობით.

ცხრილი N2. ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტიდან მიღებული და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

საბალანსო ერთეულის დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი შემოსავლები	ჯამი
სამინისტროს აპარატი	69,688,197	-	69,688,197
სპეციალური პენიტენციური სამსახური	203,519,850	-	203,519,850
სსიპ - საჯარო რეესტრის სააგენტო	25,190,649	76,685,851	101,876,500
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	1,116,877	92,752,689	93,869,566
სსიპ - იუსტიციის სახლი	5,191,407	52,842,362	58,033,769
სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო	-	41,235,545	41,235,545
მსოფლიო ბანკის პროექტი - მიწის ბაზრის განვითარება (საჯარო)	14,411,404	-	14,411,404
სსიპ - დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო	8,008,965	4,259,045	12,268,010
სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო	3,924,754	6,563,558	10,488,312
სსიპ - ეროვნული არქივი	6,711,662	3,611,967	10,323,629
სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი	1,911,836	1,960,128	3,871,964
სსიპ - საკანონმდებლო მაცნე	-	2,484,728	2,484,728
სსიპ - ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი	1,046,305	1,562	1,047,866
ჯამი	**340,721,906**	**282,397,435**	**623,119,340**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების** (ერთად – ჯგუფის)[2] კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს,[3] მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნის აბზაცში – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების[4] შესაბამისად.

[2] იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

[3] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული N1-N21 შენიშვნები.

[4] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 მოთხოვნები

იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „მოკლევადიანი მიმდინარე დებიტორული დავალიანებები“ და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები“ ჯამურად, 101,335,808 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- **საჯარო რეესტრის სააგენტოს** 2022 წელს მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩაუტარებია. ამასთანავე, მოთხოვნებში ასახულია 2011-2018 წლებში წარმოშობილი 949,296 ლარის[5] ოდენობის დავალიანება, რომლის მიღების ალბათობა მცირეა.[6]
- **საჯარო რეესტრის სააგენტოს** საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე არსებული მოთხოვნის ნაშთი ჯამურად, 1,908,630 ლარით[7] ნაკლებია 2022 წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საგადასახადო მოთხოვნების ნაშთზე.
- **პენიტენციური სამსახურის** ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით“, აღრიცხულია 148,653 ლარი, რომელიც წარმოადგენს სპეციფიკური მარაგების დანაკლისს და მისი მიღების ალბათობა მცირეა.[8]

შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოთხოვნების“ მუხლი 3,006,579 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.2 მატერიალური მარაგები

იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ ნაშთი 30,627,892 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

[5] მათ შორის, 2020-2021 წლებში შევიდა სასამართლო გადაწყვეტილება სააღსრულებლო საქმის წარმოებაზე, შპს „ფენიქსი“ - 58,800 ლარი; შპს „ჯი-ენ-ჯი ფროდაქშენი“ - 761,051 ლარი.

[6] 2020-2021 წლებში ძალაში შევიდა სასამართლო გადაწყვეტილება თანხის ამოღებასთან დაკავშირებით. სააღსრულებო პროცედურების შედეგად დგინდება, რომ კომპანიები არ ფლობენ რეგისტრირებულ რაიმე სახის ქონებას, რაზეც განხორციელდებოდა იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები.

[7] ქონების გადასახადის გათვალისწინებით დარიცხული თანხა.

[8] მიმდინარეობს საგამოძიებო პროცედურები, რის გამოც ვერ ხდება ბალანსიდან მოხსნა. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული უკავშირდება 2008 წლის ომს.

- **საჯარო რეესტრის სააგენტოსა და სერვისების სააგენტოს** ერიცხება სულ 215,792 ლარის[9] საბალანსო ღირებულების სხვადასხვა ტიპის მარაგი, რომლებსაც სააგენტოები არ იყენებენ და არც მომავალში გამოყენების პოტენციალი[10] აქვთ. შესაბამისად, არ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
- **საჯარო რეესტრის სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს 420,000 ლარამდე ოდენობის მცირეფასიანი აქტივი და მარაგი,[11] რომელიც საჭიროებს კლასიფიკაციას ძირითადი აქტივების ანგარიშზე. ამასთანავე, ზოგიერთი შემთხვევაში, ერთი და იმავე ტიპის აქტივებთან მიმართებით გამოყენებულია არაერთგვაროვანი მიდგომა.[12]
- **პენიტენციური სამსახურის** ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 545,435 ლარის მარაგები, რომელთა გამოყენება არ იგეგმება და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.[13]
- **საჯარო რეესტრის სააგენტოს** მიერ 19,658 ერთეული მარაგი[14] ღირებულების გარეშეა აღრიცხული; სააგენტო ფლობს ასევე გამოუყენებელ მარაგებს,[15] რომელთა მიმართებითაც არ ჩაუტარებია მარაგების გაუფასურების ანალიზი.

შესაბამისად, „მატერიალური მარაგების“ მუხლი 2022 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 1,181,227 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.3 ძირითადი აქტივები

იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი საშუალებების“ ნაშთი 706,583,604 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1.3.1 აქტივების არასწორი კლასიფიკაცია

იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რიგ შემთხვევებში გრძელვადიანი აქტივები კლასიფიცირებულია არასწორად, კერძოდ:

- **სერვისების სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში 627,000 ლარის ღირებულებაზე მეტი პროგრამული უზრუნველყოფა ნაცვლად

[9] საჯარო რეესტრი - 104,973 ლარი, სერვისების სააგენტო - 110,819 ლარი.
[10] მარაგები ძირითადად წარმოადგენს კარტრიჯებს, ტონერებს და ბეჭდვის ხელსაწყოებს.
[11] სანახი სისტემის ქსელის კომუტატორი, ელექტროკუმულატორი, მარშრუტიზატორი სავარძელი, კარადები და სხვ.
[12] მაგალითად, სტელაჟები აღრიცხულია როგორც „მარაგებში“, ასევე „ძირითად აქტივებში“.
[13] 1,171,300 ცალი ვაზნა. ობიექტის განმარტებით, იგეგმება გადაცემა სხვა ორგანიზაციისთვის.
[14] კარტრიჯები, გერბიანი ბლანკები, სამუშაო მაგიდები, მონიტორი, ნოუთბუქი, ტონერები და სხვ.
[15] დაახლოებით, 850 ცალი კარტრიჯი და ტონერი.

„არამატერიალური აქტივებისა,“ ასახულია „სხვა მანქანა-დანადგარების“ ანგარიშზე.

- **იუსტიციის სახლში** ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მანქანა-დანადგარების“ ანგარიშებზე ნაცვლად „არამატერიალური აქტივების“ ანგარიშისა, ასახულია 229,692 ლარი.[16]
- **პენიტენციური სამსახურის** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 466,033 ლარის „არასაცხოვრებელი შენობები,“ რომლებიც საჭიროებს კლასიფიკაციას „სხვა ნაგებობების“ მუხლში.
- **პენიტენციური სამსახურის** ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლში ასახულია 3,179,597 ლარის საპროექტო სამუშაოები, რომლებიც საჭიროებს კაპიტალიზებას „შენობა-ნაგებობების“ ანგარიშზე. გარდა ამისა, „სხვა ნაგებობის“ ანგარიშზე ასახულია 180,043 ლარის აქტივები, ნაცვლად ანგარიშისა – „დაუმთავრებელი მშენებლობა.“
- **საჯარო რეესტრის** საბუღალტრო ჩანაწერებში ასახულია 427,755 ლარის[17] „მანქანა-დანადგარები,“ რომელიც საჭიროებს რეკლასიფიკაციას მცირეფასიან აქტივებად.

1.3.2 აქტივად აღიარების ნაკლოვანებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს სხვადასხვა ერთეულში ასახული „ძირითადი საშუალებები“ რიგ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, კერძოდ:

- **სერვისების სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე აღრიცხულია 459,046 ლარის მშენებლობის პროექტი, რომელიც შედგენილია 2012-2015 წლებში შენობის აშენების მიზნით. აღნიშნული პროექტი არ ყოფილა გამოყენებული და ორგანიზაციის განმარტებით, მისი არც სამომავლოდ გამოყენება იგეგმება. შესაბამისად, პროექტი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
- **საჯარო რეესტრის** ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლში ასახულია 85,222 ლარის სხვადასხვა სამუშაო, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.[18]
- **საჯარო რეესტრის** ბალანსზე ირიცხება 18,831 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი, რომელსაც არ იყენებს და არ იმყოფება მის საკუთრებაში.

[16] სერვერები, პროგრამული უზრუნველყოფა და ელექტრონული გასაღებები.
[17] წარმოადგენს 500 ლარზე ნაკლები ღირებულების მრავალჯერადი გამოყენების აქტივებს. მაგალითად: მყარი დისკი, სამუშაო მაგიდები, კონდიციონერი, პროცესორები და სხვ.
[18] დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალები - 71,520 ლარი, გაზიფიკაცია - 12,431 ლარი, კაბელის მონტაჟი - 1,272 ლარი.

- **სერვისების სააგენტოსა და საჯარო რეესტრს** ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქვს 2,595,125 ლარის[19] ისტორიული ღირებულების გამოუყენებელი არამატერიალური აქტივები.
- **საჯარო რეესტრის სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 211,815 ლარის „სატრანსპორტო საშუალებები," რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.[20]
- **იუსტიციის სახლის** ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 1,580,708 ლარის ისტორიული ღირებულების მანქანა-დანადგარები,[21] რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების" მუხლი 4,950,747 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.3.3 ქონების ღირებულებით აღრიცხვის ნაკლოვანებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს სხვადასხვა საბალანსო ერთეულში იდენტიფიცირებულია ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ისეთი ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ არის შეფასებული და ღირებულებით ასახული, კერძოდ:

- **სერვისების სააგენტოს** აქვს 2,729 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთი, რომელიც არ არის შეფასებული და ფინანსურ ანგარიშგებაში ღირებულებით ასახული.

- **საჯარო რეესტრის** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ზედმეტად 334 კვ. მეტრით მეტი 196,252 ლარის ღირებულების მიწა. გარდა ამისა, უზუფრუქტით აღებული 243 კვ. მეტრი „შენობა-ნაგებობა" არ აქვს ასახული.[22]

1.3.4 ძირითადი აქტივების ცვეთა

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების" მუხლთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

[19] სერვისების სააგენტო - 2,507,055 ლარის ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა, საჯარო რეესტრი - 88,070 ლარის რუკები, აპლიკაციის კონტროლი და ვებფილტერინგი.
[20] ავტოავარიის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა 3 ავტომობილი, შპს „კავკასუს მოტორსის" ცნობის (23.09.2022) მიხედვით, ავტომობილის აღდგენის ხარჯი გადააჭარბებს მისი ღირებულების 80%-ს.
[21] რიგის მართვის სისტემები, პრინტერები და ა.შ.
[22] დედოფლისწყარო - 66 კვ.მ, თერჯოლა - 127 კვ.მ, შუახევი - 47მ კვ.მ.

- **სერვისების სააგენტოს** მიერ არ არის დარიცხული ცვეთა 817,300 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივებზე.
- **საჯარო რეესტრის** მიერ ცვეთის ხარჯი 314,917 ლარით გაზრდილად არის დარიცხული.
- **პენიტენციური სამსახურის** მიერ პროგრამული ხარვეზის გამო, 1,791,655 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივებზე ზედმეტად არის დარიცხული 142,817 ლარის ცვეთა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლი „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები“ – 457,734 ლარი გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო 817,300 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივებზე ცვეთა არ არის დარიცხული.

1.3.5 საღრიცხვო ინსტრუქციის არასწორი გამოყენება

სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ[23] 2021-2022 წლებში გადაფასდა სატრანსპორტო საშუალებები და აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში. ორგანიზაციები ყოველწლიური სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვის ნაცვლად, იყენებენ ძირითადი აქტივების გადაფასების მოდელს,[24] რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციასთან.[25]

1.4 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების წილები უნდა აღირიცხოს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს თვითღირებულებით აღრიცხული ინვესტიციების კორექტირებას, შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.[26]

- **სსიპ – დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს** 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 825,000 ლარის გრძელვადიანი ფინანსური აქტივები, რომელიც არ არის დაკორექტირებული კაპიტალ-მეთოდით. [27]

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი

[23] საჯარო რეესტრი, აპარატი. პენიტენციური სამსახური, აღსრულების ეროვნული ბიურო, სერვისების სააგენტო.

[24] ამასთანავე, სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი ორგანიზაციები გადაფასების მოდელს იყენებს განსხვავებული მიდგომით.

[25] სსბასს 17-ის მიხედვით, ერთეულს შეუძლია აირჩიოს თვითღირებულების მოდელსა და გადაფასებულ ღირებულების მოდელს შორის ერთ-ერთი. ამ უკანასკნელის არჩევა დაშვებულია მაშინ, როცა სამართლიანი ღირებულების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. თუ გადაფასების მოდელის შერჩევა მოხდა, გადაფასება გამოყენებული უნდა იყოს ძირითად აქტივთა მთელი კლასის მიმართ, **შენიშვნა: „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანების მიხედვით, რეკომენდებულია მხოლოდ თვითღირებულების მოდელის გამოყენება.**

[26] სსბას 36, მუხლი 8.

[27] შპს „პერსპექტივის“ საწესდებო კაპიტალი 2022 წელს შეადგენდა 1,883,345 ლარს, ხოლო აკუმულირებული ზარალი - 352,202 ლარს.

არაფინანსური აქტივების“ მუხლი 706,143 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.5 ვალდებულებები

იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების ჯამური ნაშთი 35,628,922 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- კრედიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს **2005 წელს გაუქმებული მიწის მართვის დეპარტამენტის** 1,160,374 ლარის ვალდებულებებს, რაც წარმოადგენს 2004 წლამდე წარმოშობილ დავალიანებებს,[28] რომელზეც ბრუნვა არ განხორციელებულა წლების განმავლობაში, შესაბამისად, მათი დაფარვის ალბათობა დაბალია.[29]
- **სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის** „მოკლევადიანი ვალდებულებების“ ანგარიშზე ასახულია მის მიერ დაფუძნებულ კომპანიაში არსებული კაპიტალი 127,478 ლარის ოდენობით, ნაცვლად „გრძელვადიანი ვალდებულებებისა.“

აღსრულების ეროვნული ბიუროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „ვალდებულებები დეპოზიტით“ ასახულია 192,464,481 ლარის ნაშთი. აღნიშნული მუხლი შედგება სააღსრულებლო პროცედურების შედეგად ამოღებული და კრედიტორებისთვის გასანაწილებელი თანხებისა და გირაოს თანხებისგან.[30] ვალდებულების აღრიცხვასთან დაკავშირებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

- 2,157,247 ლარის ოდენობით სადეპოზიტო ვალდებულების წარმოშობის წელი და კრედიტორების ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, აღნიშნული საკითხი უკავშირდება ბიუროს შექმნის დროს არსებულ აღრიცხვის პრობლემებს, რის გამოც ვერ ხერხდება კრედიტორების იდენტიფიცირება.
- სადეპოზიტო ვალდებულებების საბოლოო ნაშთი მოიცავს გამარტივებული საქმისწარმოების საფასურს, თანხით – 65,404 ლარს, რაც ბიუროს შემოსავალია და არა ვალდებულება.
- შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო, სადეპოზიტო ვალდებულებების ბუღალტრულად აღრიცხვა არ წარმოებს ინდივიდუალურად, კრედიტორების მიხედვით.

[28] სხვადასხვა ორგანიზაციის და ყოფილი თანამშრომლების მიმართ.
[29] სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (ვალდებულების განმარტება).
[30] ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს.

საბუღალტრო ანგარიშზე თანხების ზრდა და შემცირება აისახება ჯამურად. ნაშთები მოიცავს გირაოს თანხებს, სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ, ასევე კანონმდებლობით დადგენილ, ბიუროს მომსახურების საფასურის თანხებს. მათი ოდენობა დგინდება ამოღებული თანხების განკარგვის შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე (საფასურის განკარგვის შესახებ მიმართვა), რომლის შედგენაც ხშირ შემთხვევაში ხორციელდება საანგარიშო წლის დასრულებამდე, რის საფუძველზეც, ბიუროს საფასურის თანხით სადეპოზიტო ვალდებულების ანგარიში უნდა შემცირდეს და თანხა აღიარდეს შემოსავლად. *ობიექტის განმარტებით, მიმდინარეობის პროგრამის შემუშავება.* [31]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „ვალდებულებების“ მუხლი 1,125,778 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. ამასთანავე, ვერ ვრწმუნდებით 2,157,247 ლარის „სადეპოზიტო ვალდებულების“ არსებობასა და სიზუსტეში.

1.6 შემოსავლები

იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“ შეადგენს 235,648,612 ლარს. აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- **აღსრულების ბიუროს** ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შემოსავლებიდან 765,777 ლარის[32] წარმოშობის თარიღია 2021 წელი ან წინა წელი და, შესაბამისად, არ წარმოადგენს მიმდინარე წლის შემოსავალს; ასევე 2022 წელს გამომუშავებული[33] შემოსავლების ნაწილი – 396,807 ლარი, არ არის აღიარებული 2022 წლის ანგარიშგებაში.[34] გარდა ამისა, ბიუროს მიერ საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება საკასო მეთოდით.

სერვისების სააგენტოსა და **საჯარო რეესტრის სააგენტოს** ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, მათ მიერ 2022 წელს მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა, დღგ-ის გარეშე, შესაბამისად, 106,388,551 ლარი და 86,735,049 ლარი შეადგინა.

[31] ციფრული სააგენტოს მიერ.
[32] დღგ-ის ჩათვლით.
[33] დაანგარიშების თარიღი: 2022 წელი.
[34] შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა უკვე შესყიდულია და მიმდინარეობს სრულყოფილი დანერგვის პროცესი.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება ინფორმაცია მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვას და შექმნიდა კონტროლის მექანიზმს იმ მიზნით, რომ სააგენტოები დარწმუნდნენ მიღებული შემოსავლებისა და მიღებული ავანსების სისრულეში.

აუდიტის შედეგად ბილინგის სისტემაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია, დაახლოებით, 1,008,284 ლარის განაცხადი,[35] რომელსაც აქვს სტატუსი – „მიმდინარე“. შესაბამისად, თანხა 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად შემოსავლისა, უნდა აღიარდეს, როგორც კრედიტორული დავალიანება (მიღებული ავანსი).[36]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „შემოსავლების“ მუხლი 368,970 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, კრედიტორული დავალიანების (მიღებული ავანსი) საბოლოო ნაშთი შემცირებულია 1,008,284 ლარით.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

[35] საჯარო რეესტრის სააგენტო - 839,115 ლარი; სერვისების სააგენტო - 169,169 ლარი.
[36] სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (დარიცხვის მეთოდის განმარტება).

2. სხვა გარემოებები

2.1 კონტროლის ნაკლოვანებები

2022 წელს **იუსტიციის სახლის** ერთ-ერთმა თანამშრომელმა გამოიყენა ორგანიზაციის ბარათი საწვავის პირადი მოხმარებისთვის.[37] საკითხი გადაეცა საგამოძიებო ორგანოს დამატებითი მოკვლევის მიზნით, რის შემდგომაც აღნიშნულმა თანამშრომელმა აანაზღაურა იუსტიციის სახლისთვის მიყენებული ფინანსური ზარალი და დატოვა თანამდებობა.[38] აღსანიშნავია, რომ ფაქტის გამოვლენის შემდგომ ორგანიზაციაში დაინერგა შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

სერვისების სააგენტოში 2022 წელს გამოვლინდა 200 ცალი მკაცრი აღრიცხვის ბლანკის დანაკლისი.[39] ობიექტის განმარტებით, საკითხი დამატებითი მოკვლევის მიზნით გადაეცა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[40] სამინისტროს განმარტებით, 2022 წლის ოქტომბრიდან კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით დანერგილია დამატებითი კონტროლის მექანიზმები.

საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ აღრიცხული აქტივების იდენტიფიცირება ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით გართულებულია. კერძოდ, არ არსებობს ერთიანი რეესტრი ბუღალტრულად ასახული ფასეულობების მიხედვით, ვერ დგინდება ზუსტი საიდენტიფიკაციო კოდები, რაც ასევე აფერხებს ინვენტარიზაციის პროცესს. ამასთანავე, ჩვენ მიერ ჩატარებული შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა გამოუსადეგარი 67,000 ლარის მარაგები.[41]
სააგენტოს არ აქვს ლოჯისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, იდენტიფიცირებას და კონტროლს.[42]

პენიტენციურ სამსახურში დანერგილი კონტროლის მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მედიკამენტების მიღებისა და გახარჯვის ოპერაციების თანმიმდევრულ აღრიცხვას.[43] კერძოდ, მედიკამენტების ნაშთების

[37] ორგანიზაცია საწვავის მოხმარებისთვის რიგ შემთხვევაში იყენებს VIP ბარათებს, რომლის საშუალებით ხდება საწვავის გატანა გენერატორებისთვის და მივლინების დროს მოსამსახურეთა პირადი ავტომობილებისთვის. ქუთაისის ფილიალის ლოჯისტიკის სპეციალისტმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქუთაისის ფილიალისთვის დამზადებული საწვავის ბარათით (PSH7), 2022 წლის ივნისში მიითვისა 2,999 ლიტრი დიზელი (12,021 ლარის ღირებულების), საწვავის დანაკლისის დაფარვის მიზნით კი შეადგინა ყალბი ინსპექტირების აქტები.

[38] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე მოსამსახურეს განესაზღვრა (182-ე მუხლი, მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით (მუხლი 55), რაც ჩაეთვალა პირობით (63-ე და 64-ე მუხლები), ასევე დაჯარიმდა 5000 ლარით, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ჩამოერთვა მატერიალურად პასუხისმგებელი პირის თანამდებობის დაკავების უფლება 3 წლის ვადით.

[39] დანაკლისი, ჯამური ღირებულებით - 4,040 ლარი, გამოვლენილია შიდა კონტროლის სამსახურის მიერ (დასკვნა N63/დ, 12.12.2022).

[40] გადაეცა იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, სერვისების სააგენტოს თავმჯდომარის წერილი N01/296637, 22.12.2022.

[41] ტექნიკა და საოფისე ინვენტარი (კარადა, თარო, გამათბობელი).

[42] აღრიცხვა წარმოებს MS Excel-ში, რაც ვერ უზრუნველყოფს მარაგების მოკვლევას.

[43] 2023 წლიდან დაიწყო მედიკამენტების ფაქტობრივი მდგომარეობისა და სააღრიცხვო მონაცემების ყოველთვიური შედარება.

კონტროლისთვის არ არის დანერგილი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. მარაგების კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომის დაშვების რისკი.

აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2022 წელს შრომის ანაზღაურების გაანგარიშებადი კომპონენტის[44] გაცემა ხასიათდებოდა კონტროლის ნაკლოვანებებით.[45] კერძოდ, აღმასრულებლის მიერ ჩარიცხული საფასურის შესახებ ინფორმაცია ბუღალტერიას რიგ შემთხვევაში მიეწოდებოდა დაგვიანებით, რაც წარმოშობს დროში გამიჯვნის პრობლემას. გარდა ამისა, გამოვლინდა შემთხვევები,[46] როდესაც საფასურის განაწილება არ მიმდინარეობდა განკარგულების[47] შესაბამისად.

სამინისტროს მასშტაბით გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც საწვავის მომწოდებელ კომპანიებს ჰქონდათ პროგრამული ხარვეზი საწვავის ჩასხმის კუთხით.[48] შედეგად, აგაის[49] ამონაწერში მომწოდებელი კომპანიის მიერ მანუალურად მოხდა მონაცემების ჩასწორება. აღსანიშნავია, რომ გახარჯულ საწვავთან მიმართებით, ორგანიზაციებს სხვა კონტროლის მექანიზმები არ აქვთ დანერგილი, რაც ზრდის თანხების ზედმეტად გადახდის რისკს.

საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ 2022 წელს მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობის პროგრამიდან შეძენილი 706,050 ლარის აქტივები[50] გადაცემულია სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაზე. ობიექტისგან ვერ მივიღეთ სათანადო განმარტება, როგორ შესრულდა პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.[51]

2.2 საკასო მეთოდით აღრიცხვა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის – „მიწის ბაზრის განვითარება“ განმახორციელებელია **საჯარო რეესტრის სააგენტო.** აღსანიშნავია, რომ დონორების პროექტის ფარგლებში განხორციელებული

[44] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 სექტემბრის N1647 განკარგულების მიხედვით, აღსრულების ზოგიერთ თანამშრომელზე შრომის ანაზღაურება გაიცემოდა წარმოებაში არსებულ საქმეზე შემოსული საფასურის 15%-ის ოდენობით, რომელიც, თავის მხრივ, ნაწილდებოდა ბიუროს ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილეებსა და აღმასრულებლების ჯგუფზე.

[45] შრომის ანაზღაურების გაანგარიშებადი კომპონენტი წარმოადგენს დამატებით თანამდებობრივ სარგოს, რომელიც ეძლევა აღმასრულებელს საქმის დასრულების შემდგომ. ჩარიცხული საფასურის 15%-ის ოდენობა ნაწილდება შესაბამის სამმართველოს უფსოსებსა და საქმის წარმოებაში ჩართულ აღმასრულებლებზე.

[46] აღსრულების ეროვნული ბიუროს პოლიციის სამმართველოში.

[47] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 სექტემბრის N1647 განკარგულება, მუხლი 4, პირველი პუნქტი; მუხლი 5, პირველი პუნქტი.

[48] საჯარო რეესტრის სააგენტოში დაფიქსირდა ავზის მოცულობაზე გადაჭარბებული ჩასხმები დროის შემჭიდროებულ მონაკვეთში, რაც მომწოდებელი კომპანიის სისტემის გაუმართაობით იყო განპირობებული. გარდა ამისა, საწვავის მომწოდებელ კომპანიაზე (შპს „რომპეტროლი“) განხორციელდა კიბერშეტევა.

[49] ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა.

[50] 10 სატრანსპორტო საშუალება.

[51] აქტივების გამოყენებით დაგეგმილი ღონისძიებები.

ოპერაციები აღირიცხება საკასო მეთოდით[52] და არ შეესაბამება საბიუჯეტო ორგანიზაციების აღრიცხვის ნორმებს.[53]

2.3 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის მდგომარეობით, საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო დავების[54] საკითხები სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი.[55]

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.[56]

2.4 საბუღალტრო აღრიცხვის ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატს 2022 წელს არ გააჩნდა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა. სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად ჩანაწერების წარმოება ხორციელდებოდა პროგრამა MS Excel-ის გამოყენებით, რაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული კონტროლის ნაკლოვანებაა და ზრდის ადამიანური შეცდომით გამოწვეული უზუსტობის რისკს. სამინისტროს აპარატის განმარტებით, განხორციელდა ბუღალტრული პროგრამის შესყიდვა და მიმდინარეობს მის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები.

იუსტიციის სახლის ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ხარვეზის გამო, ვერ უზრუნველყოფს არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების სათანადოდ აღრიცხვას.

2.5 სააღრიცხვო პოლიტიკის ნაკლოვანებები

საჯარო რეესტრის სააგენტოს სააღრიცხვო პოლიტიკა არ აქვს დამტკიცებული.

სამინისტროსა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ზოგადი პრინციპების მიხედვით და არ არის მორგებული კონკრეტული ობიექტის საქმიანობის სპეციფიკას.

სამინისტროს არ აქვს შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო მეთოდი

[52] საკასო მეთოდი - ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომლის თანახმადაც ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება ფულადი სახსრების ან მისი ეკვივალენტის მიღება/გადახდა.

[53] ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

[54] სადაც სამინისტრო წარმოადგენს მოპასუხეს. საარბიტრაჟო დავები შეადგენს 8,000,000,000 ლარზე მეტს, საერთაშორისო დავები - 902,357 ლარს, ხოლო შიდა ეროვნული დავები - 513,236 ლარს.

[55] აღსანიშნავია, რომ სამინისტროს აპარატის მიერ 2022 წელს არბიტრაჟებსა და საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობისთვის გაწეული იურიდიული მომსახურების ხარჯი შეადგენს 37,790,799 ლარს.

[56] სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად (მაგალითად, მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვა).

იუსტიციის სახლის სააღრიცხვო პოლიტიკა არ მოიცავს პირობითი აქტივების/ვალდებულებების და ანარიცხების აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებს; ასევე არ არის გამჟღავნებული მარაგების აღრიცხვის მეთოდი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს და პენიტენციური სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკა არ მოიცავს ანარიცხებთან, პირობით ვალდებულებებთან და პირობით აქტივებთან დაკავშირებულ საკითხებს.

2.6 სსბასს-ებით გათვალისწინებული პროცედურები არაფინანსურ აქტივებზე

სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი ორგანიზაციების მიერ არაფინანსურ აქტივებთან მიმართებით 2022 წელს არ განხორციელებულა სსბასს-ებით გათვალისწინებული შემდეგი პროცედურები:

- ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვა;[57]
- ძირითად აქტივებზე გაუფასურების ტესტის ჩატარება;[58]
- მატერიალური მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებების გადასინჯვა.[59]

2.7 კლასიფიკაციის ხარვეზები

იუსტიციის სახლის ფინანსურ ანგარიშგებაში დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე ასახულია თბილისის იუსტიციის სახლის 2014 წლიდან შესრულებული სამუშაოები, სულ 82,724,871 ლარის ღირებულების. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სახლის ექსპლოატაციაში მიღება დღემდე ვერ განხორციელდა.

საჯარო რეესტრის მიერ „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“ ასახულია ქონების შეფასების შედეგად მიღებულ შემოსავალში 681,259 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს კლასიფიკაციის ხარვეზს.[60]

საჯარო რეესტრის „საქონელი და მომსახურების“ მუხლში ასახულია 789,330 ლარი, ნაცვლად სხვა არაკლასიფიცირებული ტრანსფერებისა.[61]

[57] სსბასს 17 - ძირითადი აქტივები, მუხლი 67 (სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვა). განხორციელდა აღსრულების ეროვნული სბიუროს, იუსტიციის სახლის და სერვისების სააგენტოს მიერ.
[58] სსბასს 21 - ფულადი სახსრების არწარმომქმნელი ერთეულების გაუფასურება, პუნქტი დს20ვ.
[59] სსბასს 12 - მატერიალური მარაგები, პუნქტი 42 (ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შემოწმება).
[60] ნაცვლად ტრანსფერებისა, დასაკლასიფიცირებელია აქტივების/ვალდებულებების გადაფასების შედეგად მიღებულ ნამეტში.
[61] სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად წარმოშობილი ვალდებულება.

პენიტენციური სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული 66,045 ლარის მიმდინარე ტრანსფერის ხარჯი უკავშირდება წინა პერიოდის ხარჯს.

2.8 არამატერიალური აქტივების აღრიცხვის ხარვეზები

საჯარო რეესტრის სააგენტო და **სერვისების სააგენტო** საკუთარი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, სარგებლობენ სხვადასხვა ფუნქციის საინფორმაციო-ტექნოლოგიური (IT) აპლიკაციებით/პროგრამებით, საიდანაც უმეტესობა შექმნილია საკუთარი რესურსით. აღნიშნული პროგრამების/აპლიკაციების უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობს სააგენტოების ძირითადი შემოსავლების ფორმირებაში. სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი კონტროლის სისტემა მათზე გაწეული დანახარჯების ცალკე აღრიცხვისა და შეფასებისთვის,[62] რაც აუცილებელია გაწეული დანახარჯების შემდგომი სწორი კლასიფიკაციისთვის.

საჯარო რეესტრისა და სერვისების სააგენტოს ბალანსზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 544,491 ლარის[63] ნარჩენი ღირებულების არამატერიალური აქტივები, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი ექსპლოატაციის ვადა. 2022 წელს არ განხორციელებულა სავალდებულო გაუფასურების ტესტირება, აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად.

2.9 ქონების ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

საჯარო რეესტრის სააგენტოში არ დასრულებულა კანონმდებლობით გათვალისწინებული 2022 წლის სავალდებულო ინვენტარიზაცია. სააგენტოს მიერ სააღრიცხვო პროგრამაში აქტივების ნაშთები ასახულია მხოლოდ ნაერთი სახით, არ არის დაყოფილი ერთეულების და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით, რის გამოც ვერ ხორციელდება ფაქტობრივი და საბუღალტრო ნაშთების შედარება და შესაბამისობის კონტროლი.[64]

2.10 ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის არარსებობა

იუსტიციის სამინისტროსა და **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს,** მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ითვლებიან კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტებად,[65] არ გააჩნიათ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,[66] რაც მნიშვნელოვნად ზრდის რისკებს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით.

[62] სერვისების სააგენტოს 49 პროგრამა, საჯარო რეესტრში რაოდენობა არ იდენტიფიცირდება.
[63] სერვისების სააგენტო - 495,450 ლარი, საჯარო რეესტრი - 49,491 ლარი.
[64] ორგანიზაციას გარკვეული დრო სჭირდება ბუღალტრულად ასახული მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების ადგილმდებარეობის დასადგენად, ვინაიდან ბუღალტრულად ასახული ინფორმაცია არ იძლევა აქტივების ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას. აუდიტის მიმდინარეობისას იქმნება სახელობითი ბაზები, სადაც მოცემულია თითოეული აქტივის საინვენტარო ნომერი.
[65] „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის N312 დადგენილება.
[66] 6391-Iს (05.06.2012), მუხლი 4.

2.11 სამშენებლო მიმართულებით გამოვლენილი ნაკლოვანებები

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებული ხაშურის იუსტიციის სახლის მშენებლობის პროცესში[67] გამოვლინდა ნაკლოვანებები. კერძოდ, შპს „ალიანსის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება მიმდინარეობდა ხარვეზებით. მშენებლობაში გამოყენებული მასალა არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულს,[68] რამაც გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა. მშენებლობის გაგრძელების მიზნით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე[69] საჭირო იყო შენობის სრული დემონტაჟი, რაც განხორციელდა ახალი ხელშეკრულების საფუძველზე, აღსრულების ბიუროს სახსრებით.[70] შესაბამისად, მშენებლობისა და მისი დემონტაჟისთვის საჭირო სახსრები გაიზარდა 1,718,034 ლარის ოდენობით,[71] აღნიშნული კი მიუთითებს აღსრულების ბიუროს მიერ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ კონტროლის ნაკლოვანებებზე.[72] აღსანიშნავია, რომ მშენებლობასთან დაკავშირებით აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიერ შპს „ალიანსის“ მიმართ სასამართლოში მიმდინარეობს დავა.

პენიტენციურ სამსახურში აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა სამშენებლო სამუშაოების მოცულობებისა და დანახარჯების გაზრდის ფაქტები, სულ – 162,194 ლარის ოდენობით,[73] აღნიშნული კი მიუთითებს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებზე. აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში შემსრულებელმა კომპანიამ ბიუჯეტში დააბრუნა პენიტენციური სამსახურის მიერ ზედმეტად ანაზღაურებული თანხა.

[67] შპს „ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N2021/ 35, 12.01.2021; საპროექტო დოკუმენტაცია, შესრულებული სამუშაოს აქტები, მიღება-ჩაბარების აქტები.

[68] მომწოდებელმა კომპანიამ წარმოადგინა შპს „რეალექსპერტის“ დასკვნა შესრულებული სამუშაოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და ფიზიკურ მდგომარეობასთან ინსპექტირების შესახებ, თუმცა სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნით (N5000623722, 01.02.2022) გამოიკვეთა, რომ აშენებული ბეტონის სვეტები არ წამოადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ B25 ნორმას.

[69] დასკვნა N5005198722, 04.08.2022

[70] კომპანია „სფრინგ კონსთრაქშენის“ მიერ, ხელშეკრულება N2022/102, 01.07.2022

[71] სახელშეკრულებო ღირებულებებს ფასთაშორისი სხვაობა შეადგენდა 1,226,405 ლარს, ხოლო 2022 წელს დემონტაჟის სამუშაოები აღემატებოდა 491,629 ლარს (არ წარმოადგენს ფაქტობრივ ხარჯს).

[72] საკითხი გადაცემულია შემდგომი მოკვლევის მიზნით პროკურატურისთვის (წერილი N71464, 30.09.2022).

[73] შპს „ანაგი“: ხელშეკრულება N14-ს, 02.12.2021 წლის ფარგლებში - 147,146 ლარი და ხელშეკრულება N30-ს, 18.08.2022 წლის ფარგლებში - 14,743 ლარი.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

020	მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით		
030	მოკლევადიანი (მიმდინარე) სესხები		
040	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		
050	გრძელვადიან ფინანსურ იჯარაზე გადასახდელების მიმდინარე ნაწილი		
060	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		
070	მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები		
080	მოკლევადიანი (მიმდინარე) ანარიცხები		
090	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები		
100	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით		
110	გრძელვადიანი ვალდებულებები		
120	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით		
130	გრძელვადიანი სესხები		
140	გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური იჯარით		
150	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებით გრძელვადიანი ვალდებულებები		
160	გრძელვადიანი ანარიცხები		
170	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები		
180	**სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი მთლიანი ვალდებულებები**		

სტრიქონის კოდი	შემოსავლები	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	საგადასახადო შემოსავლები		
020	შემოსავლები გრანტებით		
030	სხვა შემოსავლები		
040	საპროცენტო შემოსავლები		
050	დივიდენდებიდან შემოსავლები		
060	რენტიდან შემოსავლები		
070	საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები		
080	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები		
090	შემოსავლები ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით		
100	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული		
110	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით		
120	სხვა საოპერაციო შემოსავლები		
130	კურსთაშორის სხვაობით და ფლობით მიღებული სხვა მოგება		
140	სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან მიღებული მოგება		
150	**სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი შემოსავლები**		

სტრიქონის კოდი	ხარჯები	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	შრომის ანაზღაურების ხარჯები		
020	საქონლისა და მომსახურების ხარჯები		
030	გრანტების და სუბსიდიების ხარჯები		
040	ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		
050	შიდა ტრანსფერებით ხარჯები		
060	სოციალური დახმარების/უზრუნველყოფის ხარჯები		
070	სხვა ხარჯები		
080	საპროცენტო ხარჯები		
090	რენტის ხარჯები		
100	ხარჯები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული		
110	ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა		
120	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები		
130	სხვა საოპერაციო ხარჯები		
140	კურსთაშორის სხვაობით და ფლობით წარმოქმნილი სხვა ზარალი		
150	სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან წარმოქმნილი ზარალი		
160	**სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი ხარჯები**		

[1] აისახება სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივები, აღებული ვალდებულებები, მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) განმარტებითი ბარათი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება შედგება შემდეგი საბალანსე ერთეულების ანგარიშგებებისაგან:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

სპეციალური პენიტენციური სამსახური;

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“;

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“;

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“;

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“;

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“;

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“;

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“;

სსიპ „იუსტიციის სახლი“;

სსიპ „დანაშაულის პრევენციის , არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო" (მ.შ ა(ა)იპ "შეცვალე სცენარი");

სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი“.

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შემდეგი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად:

1) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქცია;

2) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია.

სააღრიცხვო პოლიტიკა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 დეკემბრის N642 ბრძანებით დამტკიცდა იუსტიციის სამინისტროს სისტემისათვის ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც აყალიბებს სისტემის ერთიან მეთოდოლოგიურ პრინციპებს და წესებს. ხოლო, მის საფუძველზე სამინისტროს ზოგიერთ საბალანსე ერთეულში შემუშავდა შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება სამინისტროს ზოგიერთი საბალანსე ერთეულის მიერ, გაწეული მომსახურების ნაწილში ხდება საკასო მეთოდით (რადგან ამ ეტაპზე არ არის დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გაწეული მომსახურების ფარგლებში მიღებული შემოსავალი აღრიცხონ დარიცხვის მეთოდით), ხოლო, სხვა დანარჩენ ნაწილში შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

ხარჯის აღიარება

ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციით და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

საწყისი ნაშთების რეტროსპექტული ცვლილებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა საწყისი ნაშთების ცვლილება, კერძოდ, კაპიტალის საწყისი ნაშთი წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად სულ შემცირდა 4 142 613 ლარით:

1) **სპეციალური პენიტენციური სამსახური**

- „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები“, ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი შემცირებულია 3 833 374 ლარით (შენიშვნა N6);
- „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები“, დაგროვილი ცვეთის საწყისი ნაშთი შემცირებულია 383 759 ლარით (შენიშვნა N6);
- „სხვა ნაგებობები“, ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი შემცირებულია 648 811 ლარით (შენიშვნა N6);
- „სხვა ნაგებობები“ დაგროვილი ცვეთის საწყისი ნაშთი შემცირებულია 313 410 ლარით (შენიშვნა N6);
- „მიწის“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი შემცირებულია 1 310 904 ლარით (შენიშვნა N6);

2022 წელს ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება ფორმა N4-ში („წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“) ასახულია წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტულ გადაანგარიშებაში. ხოლო, შენიშვნა N6-ში რეტროსპექტული შესწორების შედეგად მიღებული გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი ასახულია საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული საწყისი ნაშთის შესაბამის გრაფებში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია კაპიტალის საწყისი ნაშთის შემცირება 5 095 920 ლარის ოდენობით: -5 095 920= -3 833 374 + 383 759 – 648 811 + 313 410 – 1 310 904

2) **სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო**

- „მიწის“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი გაზრდილია 406 169 ლარით (შენიშვნა N6);

2022 წელს ზემოაღნიშნული ცვლილება ფორმა N4-ში („წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“) ასახულია წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტულ გადაანგარიშებაში. ხოლო, შენიშვნა N6-ში რეტროსპექტული შესწორების შედეგად მიღებული გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი ასახულია საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული საწყისი ნაშთის შესაბამის გრაფაში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია კაპიტალის საწყისი ნაშთის გაზრდა 406 169 ლარის ოდენობით.

3) **სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო**

- „სხვა მასალები და მარაგები“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი შემცირებულია 23 865 ლარით (შენიშვნა N3);
- „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი შემცირებულია 19 672 ლარით (შენიშვნა N6);
- „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები“ დაგროვილი ცვეთის საწყისი ნაშთი შემცირებულია 1 373 ლარით (შენიშვნა N6);
- „მიწის“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი შემცირებულია 1 800 ლარით (შენიშვნა N6);
- „საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვა“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი შემცირებულია 16 101 ლარით (შენიშვნა N6);
- „საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვა“ დაგროვილი ცვეთის საწყისი ნაშთი შემცირებულია 15 682 ლარით (შენიშვნა N6);
- „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი შემცირებულია 6 740 ლარით (შენიშვნა N6);
- „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ დაგროვილი ცვეთის საწყისი ნაშთი შემცირებულია 5 815 ლარით (შენიშვნა N6);

2022 წელს ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება ფორმა N4-ში („წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“) ასახულია წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტულ გადაანგარიშებაში. ხოლო, შენიშვნებში N3 და N6 რეტროსპექტული შესწორების შედეგად მიღებული გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი ასახულია საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული საწყისი

ნაშთის შესაბამის გრაფებში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია კაპიტალის საწყისი ნაშთის შემცირება 45 308 ლარის ოდენობით: -45 308 = -23 865 – 19 672 + 1 373 – 1 800 – 16 101 + 15 682 – 6 740 + 5 815

4) **სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო**

- „სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი გაზრდილია 1 379 ლარით (შენიშვნა N3);

2022 წელს ზემოაღნიშნული ცვლილება ფორმა N4-ში („წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“) ასახულია წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტულ გადაანგარიშებაში. ხოლო, შენიშვნა N3-ში რეტროსპექტული შესწორების შედეგად მიღებული გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი ასახულია საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული საწყისი ნაშთის შესაბამის გრაფაში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია კაპიტალის საწყისი ნაშთის გაზრდა 1 379 ლარის ოდენობით.

5) **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი**

- „საშემოსავლო გადასახადის“ საწყისი ნაშთი გაზრდილია 1 421 ლარით (შენიშვნა N2ა);
- „მოგების გადასახადის“ საწყისი ნაშთი გაზრდილია 70 714 ლარით (შენიშვნა N2ა);
- „დღგ“-ს საწყისი ნაშთი გაზრდილია 18 887 ლარით (შენიშვნა N2ა);
- „საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვა“ ისტორიული ღირებულების საწყისი ნაშთი გაზრდილია 500 045 ლარით (შენიშვნა N6);

2022 წელს ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება ფორმა N4-ში („წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“) ასახულია წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტულ გადაანგარიშებაში. ხოლო, შენიშვნებში N2ა და N6 რეტროსპექტული შესწორების შედეგად მიღებული გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი ასახულია საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული საწყისი ნაშთის შესაბამის გრაფებში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია კაპიტალის საწყისი ნაშთის გაზრდა 591 067 ლარის ოდენობით: 591 067 = 1 421 + 70 714 + 18 887 + 500 045

საწყისი ნაშთების პერსპექტიული ცვლილებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში საწყისი ნაშთების პერსპექტიულ ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ინფორმაცია ანარიცხების შესახებ

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოკლევადიან ანარიცხებში ასახულია შრომითი დავების შესახებ ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (სულ 15 საქმე). სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს იურიდიული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისეთი სასამართლო დავები, რომელთა წაგების ალბათობა 70%-ზე მეტია (ყველა მომჩივნის მიერ მოგებულია პირველი ინსტანციის სასამართლო), თანხობრივად შეადგენს 432 876 ლარს.

ინფორმაცია აქტივების გაუფასურების შესახებ

2022 წელს ადგილი ჰქონდა აქტივების გაუფასურებას შემდეგი საბალანსე ერთეულების მიხედვით:

- „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნების“ გაუფასურებას შემდეგ საბალანსე ერთეულებში: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ იუსტიციის სახლი, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (იხ.შენიშვნა N2ა);
- „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ გაუფასურებას სსიპ იუსტიციის სახლში (იხ.შენიშვნა N4);

კომერციულ ბანკებში განთავსებული სახრების შესახებ (ბიუჯეტის შემოსულობები)

„ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების“ საწყისი ნაშთი (შენიშვნა N2), 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 144 607 = 144 723 - 116 ლარით მეტია სახაზინო სამსახურისგან 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნით 26 00 კოდის ფარგლებში გამოთხოვილ ინფორმაციასთან შედარებით (შენიშვნა N2). ანგარიშგებაში „ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების“ საწყის ნაშთად ასახულია 172 931 539 ლარი (რომელიც მოიცავს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დეპოზიტებზე განთავსებულ თანხებს 154 105 414 ლარის ოდენობით, რაც არ ჩანს ხაზინის ინფორმაციაში), ხოლო ხაზინის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით საბალანსე ერთეულების კომერციული ბანკის ანგარიშებზე არსებული საწყისი ნაშთი შეადგენს 18 970 731,89 ლარს. რეალურად კი უნდა იყოს 18 826 008,89 ლარი. სხვაობა გამოწვეულია:

- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სხვაობით - 144 723 ლარით. ნაცვლად 1 000 ლარისა, სახაზინო სამსახურის მიერ ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომერციული ბანკის ანგარიშზე არსებულ საწყის ნაშთად ასახულია 145 723 ლარი.
- სსიპ იუსტიციის სახლის სხვაობით - 116 ლარით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს 2022 წლის დასაწყისში კომერციულ ბანკში ბიზნესბარათის ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომელ ინფორმაციასაც არ მოიცავს სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები.

„ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების“ საბოლოო ნაშთი (შენიშვნა N2), 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 991 ლარით მეტია სახაზინო სამსახურისგან 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნით 26 00 კოდის ფარგლებში გამოთხოვილ ინფორმაციასთან შედარებით (შენიშვნა N2). ანგარიშგებაში „ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების“ საბოლოო ნაშთად ასახულია 253 705 629 ლარი, ხოლო ხაზინის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით სისტემის მასშტაბით ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 60 461 655 ლარს, რასაც ემატება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დეპოზიტებზე განთავსებული თანხების საბოლოო ნაშთი, რომელიც შეადგენს 193 242 983 ლარს. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია:

- სსიპ იუსტიციის სახლის სხვაობით - 119 ლარით;
- სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის სხვაობით - 108 ლარით;
- სსიპ დანაშაულის პრევენციის , არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სხვაობით - 765 ლარით.

ზემოაღნიშნული თანხები, ჯამში 991 ლარი, წარმოადგენს 2022 წლის ბოლოს კომერციულ ბანკებში სსიპ-ების ბიზნესბარათის ანგარიშზე არსებულ ნაშთებს, რომელ ინფორმაციასაც არ მოიცავს სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები.

აქვე გაცნობებთ, რომ სახაზინო სამსახურისგან 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნით 26 00 კოდის ფარგლებში გამოთხოვილ ინფორმაციაში ადგილი აქვს გარკვეულ უზუსტობას. კერძოდ, ხაზინის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით საბალანსე ერთეულების კომერციული ბანკის ანგარიშებზე არსებული საწყისი ნაშთი შეადგენს 18 970 732 ლარს, ხოლო ამავე ფორმის ნაერთ მონაცემებში საწყის ნაშთად ნაჩვენებია 18 679 286 ლარი.

ხაზინის მიმართ დებიტორული დავალიანების შესახებ (ბიუჯეტის შემოსულობები)

მიმდინარე ინვესტიციებისა და მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებებისა და მოთხოვნების ცხრილში (შენიშვნა N2ა) „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში“ საწყისი ნაშთი, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 145 723 = 2 152 436 – 2 006 713 ლარით მეტია სახაზინო სამსახურისგან 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნით 26 00 კოდის ფარგლებში გამოთხოვილ ინფორმაციასთან შედარებით. ანგარიშგებაში „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში“ საწყის ნაშთად ასახულია 2 152 436 ლარი, ხოლო ხაზინის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით - 2 006 713 ლარი. სხვაობა გამოწვეულია:

- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სხვაობით - 145 723 ლარით. ნაცვლად 299 355 ლარისა, სახაზინო სამსახურის მიერ ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ანგარიშის საწყის ნაშთად ასახულია 153 632 ლარი.

აქვე გაცნობებთ, რომ სახაზინო სამსახურისგან 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნით 26 00 კოდის ფარგლებში გამოთხოვილ ინფორმაციაში ადგილი აქვს გარკვეულ უზუსტობას. კერძოდ, ხაზინის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით საბალანსე ერთეულების სახელმწიფო ხაზინაში არსებული საწყისი ნაშთი შეადგენს 2 006 713 ლარს, ხოლო ამავე ფორმის ნაერთ მონაცემებში საწყის ნაშთად ნაჩვენებია 2 298 159 ლარი.

ზოგიერთი ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ

დანართი N1-ის სახით წარმოგიდგენთ 2022 წლის ინფორმაციას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმდინარე და დასრულებული სასამართლო დავების შესახებ. ასევე, დანართი N2-ის სახით წარმოგიდგენთ 2022 წლის ინფორმაციას სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ.

ანგარიშგების შენიშვნებში ასახული ინფორმაცია:

შენიშვნა N2:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ცხრილი მოიცავს კომერციულ ბანკებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებულ თანხებს.

შენიშვნა N2ა:

- მიმდინარე ინვესტიციების და მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების და მოთხოვნების მთლიანი საბალანსო ღირებულებების ცხრილში სტრიქონი „080" - ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები - აღნიშნულ ანგარიშზე ასახულია ხაზინაში დროებით განთავსებული სახსრები (დეპოზიტები).
- გარდა ამისა, ანგარიშზე 1-13-1220 - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში" არსებული საწყისი ნაშთი 24 = 71 - 47 ლარით ნაკლებია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ 26 00 კოდის შესაბამისად მიზნობრივი გრანტების შესახებ მოწოდებულ მონაცემებთან შედარებით:

  ა) მათ შორის 71 ლარი მიეკუთვნება იუსტიციის სამინისტროს აპარატს (აღნიშნული თანხა იძლება სხვაობას საბოლოო ნაშთშიც);

  ბ) 47 ლარი წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის კუთვნილ თანხას, რომელიც აღრიცხულია კოდზე 27 00 (აღნიშნულ კოდზე აღირიცხებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიზნობრივი გრანტი, სანამ ის იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციად განისაზღვრებოდა). აღნიშნული ნაშთი ნულდება პერიოდის ბოლოს. შესაბამისად, საბოლოო ნაშთში სხვაობას არ იძლევა.

შენიშვნა N3:

- ანგარიშგების მე-3 შენიშვნა მოიცავს სხვა მასალებსა და მარაგებს (ბუღალტრული ანგარიში 1-14-1400). აღნიშნული კი, თავის მხრივ, მოიცავს მცირეფასიან აქტივებს (ბუღალტრული ანგარიში 1-14-1410) და სხვა დანარჩენ მასალებსა და მარაგებს (ბუღალტრული ანგარიში 1-14-1420). მე-3 შენიშვნაში შეტანილი ინფორმაცია „ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში" თავს იყრის მოკლევადიან აქტივებში.

- მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარება ძირითადად ხდება საწყობიდან გაწერისთანავე, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები) საწყობიდან გასვლისას განისაზღვრება მასზე პასუხისმგებელი პირი და უშუალოდ მომსახურების გაწევის/საქონლის რეალიზაციის შემდეგ ხდება მისი ხარჯად აღიარება (შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით).

შენიშვნა N4:

- აღნიშნულ შენიშვნაში ასახულია სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები.

შენიშვნა N5:

- აღნიშნულ შენიშვნაში ასახულია გრძელვადიანი ფინანსური აქტივები.
- მე-5 შენიშვნის პირველ ცხრილში, „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ (სტრიქონი „020“), აღრიცხულია სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დაფუძნებული შპს პერსპექტივისთვის 2012 წლიდან სხვადასხვა პერიოდში კაპიტალის სახით გადარიცხული თანხა, 825 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა N6:

- აღნიშნულ შენიშვნაში ასახულია ძირითადი აქტივები.
- ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

შენიშვნა N8:

- მე-8 შენიშვნაში აღრიცხულია არამატერიალური აქტივები.
- არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის

ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

შენიშვნა N11:

- მე-11 შენიშვნა მოიცავს სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივების შესახებ ინფორმაციას.

შენიშვნა N13:

- მე-13 შენიშვნა მოიცავს კრედიტორული დავალიანებების, ანარიცხების და სხვა ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას.

შენიშვნა N14:

- აღნიშნულ შენიშვნაში შეტანილია არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ 2022 წელს სსიპ იუსტიციის სახლისათვის განხორციელდა გრანტის ჩარიცხვა 2 000 000 ლარის ოდენობით. კერძოდ, მობილური იუსტიციის სახლების შესაძენად (კაპიტალური გრანტი). იქიდან გამომდინარე, რომ ნოტარიუსთა პალატა გადარიცხვებს ახორციელებს კომერციულ ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან და არა ხაზინის ელექტრონული სისტემის საშუალებით, ვერ განახორციელა აღნიშნული გრანტის ჩარიცხვა კაპიტალური გრანტის სახაზინო კოდზე 707467010. ამიტომ, სსიპ იუსტიციის სახლს გრანტი ჩაერიცხა სახაზინო კოდზე 707467509 – „სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“. აღნიშნული გამოიწვია იმან, რომ კომერციული ბანკიდან გადარიცხვის განხორციელებისას შეუძლებელია გრანტის სახაზინო კოდზე თანხის ჩარიცხვა. აღნიშნული თანხა ანგარიშგებაში ასახულია შინაარსის შესაბამისად, ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტის სახით.

შენიშვნა N15:

- აღნიშნულ შენიშვნაში ასახულია გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები.

შენიშვნა N16:

- აღნიშნული შენიშვნა მოიცავს საეჭვო (უიმედო) მოთხოვნების, გაუფასურების, ღირებულების შემცირების ხარჯების და უკუგატარებით შემოსავლების შესახებ ინფორმაციას.

შენიშვნა N17:

- მე-17 შენიშვნაში თავმოყრილია გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2022 წლის განმავლობაში არბიტრაჟებსა და საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობისთვის ანაზღაურებული იურიდიული მომსახურების ხარჯი შეადგენს 37 790 799 ლარს.

შენიშვნა N18:

- აღნიშნული შენიშვნა მოიცავს სხვადასხვა შემოსავლებსა და ხარჯებს: უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით, ფლობის შედეგად წარმოქმნილ სხვა მოგებასა და ზარალს.
- 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N18 მოიცავდა „აქტივების და ვალდებულებების ფლობიდან მიღებულ სხვა მოგებას/ზარალს“, რომელიც გარდა მე-3, მე-6, მე-8 და მე-11 შენიშვნებში ასახული სხვადასხვა შემოსავლების/ხარჯებისა მოიცავდა ჩამოწერილ კრედიტორულ დავალიანებებს, შეცდომის გასწორებას (არაარსებითი), ინკასოთი ჩამოჭრილ თანხებს და სხვას. რადგან 2022 წლის ანგარიშგების შენიშვნა N18 აღნიშნულ მუხლებს არ მოიცავს, 2021 წლის ანგარიშგებაში ზემოაღნიშნულ უჯრებში შეტანილი ინფორმაცია 2022 წლის ანგარიშგებაში შესაბამისად ასახულია ტრანსფერებსა და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებში/ხარჯებში (შენიშვნა N14 და შენიშვნა N17-ში).

ანგარიშგების ფორმებში ასახული ინფორმაცია:

ფორმა N1:

„ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში“ ასახულია აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი და საბოლოო ნაშთები. ასევე, მოცემულია ინფორმაცია საცნობარო ანგარიშების შესახებ.

ფორმა N2:

„ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში“ თავს იყრის ყველა შემოსავალი, ხარჯი და მათ საფუძველზე ხდება პერიოდის ნამეტის/დეფიციტის გამოანგარიშება.

ფორმა N4:

2022 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების „წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“ წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტულად გადაანგარიშებით გამოწვეული ცვლილება ჯამურად შეადგენს (-4 142 613) ლარს. სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი ჯამურად შემცირებულია 4 142 613 ლარით, რაც ზემოთ განმარტებულია დეტალურად.

ფორმა N5:

„ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში“ თავს იყრის დამტკიცებული და დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია. მათ საფუძველზე გამოითვლება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება პროცენტულ მაჩვენებელში (შესრულება (%) = ბიუჯეტის შესრულება / დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)*100).

ფინანსური ანგარიშგების შედგენის შესახებ გარკვეული დეტალების დაზუსტება

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი დანართი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებულ საწყის ნაშთებს. ანგარიშგების სწორად შევსება საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებული საწყისი ნაშთის შესაბამის გრაფებში მონაცემების შეტანას გულისხმობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა აღნიშნულ პოზიციაზე წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება. სწორედ ამ პრინციპის დაცვითაა შედგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თითოეული საბალანსე ერთეულის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება. თუმცა, აღნიშნული აზრს კარგავს ნაერთ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, რადგან ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მიიღება ყველა საბალანსე ერთეულის შესაბამისი მონაცემების დაჯამების გზით (შენიშვნები N2ა, N3, N6 და ფორმა N4 - „წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება“).

კონსოლიდაციის და ელიმინირების პროცედურები

სსბასს 35 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის პროცედურებს, რომლის თანახმად 2022 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში

ამოთიშულია (ელიმინირებულია) შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, წმინდა აქტივები/კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ერთეულთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

შენიშვნა N2a-ში სტრიქონი „280“ – „საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ ზრდა ხელოვნურად გაზრდილია 393 442 ლარით, რადგან აღნიშნულ შენიშვნაში საბოლოო ნაშთი მიიღება საწყისი ნაშთის, მისი ზრდის და კლების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, 2021 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებული (ამოთიშული) რიცხვი ხელოვნურად ამცირებდა საბოლოო ნაშთს. 2022 წლის რეალური საბოლოო ნაშთის მისაღებად საჭირო გახდა შესაბამისი მუხლის ზრდაში შეგვეტანა იგივე რიცხვი დადებითი ნიშნით - 393 442 ლარის ოდენობით (რითაც 2021 წელს ელიმინირების მიზნით შემცირებულია საბოლოო ნაშთი).

შენიშვნა N4-ში სტრიქონი „020“ – „წინასწარი გადახდები საქონლისა და მომსახურებისათვის“ ზრდა ხელოვნურად გაზრდილია 342 630 ლარით, რადგან აღნიშნულ შენიშვნაში საბოლოო ნაშთი მიიღება საწყისი ნაშთის, მისი ზრდის და კლების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, 2021 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებული (ამოთიშული) რიცხვი ხელოვნურად ამცირებდა საბოლოო ნაშთს. 2022 წლის რეალური საბოლოო ნაშთის მისაღებად საჭირო გახდა შესაბამისი მუხლის ზრდაში შეგვეტანა იგივე რიცხვი დადებითი ნიშნით - 342 630 ლარის ოდენობით (რითაც 2021 წელს ელიმინირების მიზნით შემცირებულია საბოლოო ნაშთი).

შენიშვნა N13-ში სტრიქონი „060“ – „საქონლისა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ ზრდა ხელოვნურად გაზრდილია 736 072 ლარით, რადგან აღნიშნულ შენიშვნაში საბოლოო ნაშთი მიიღება საწყისი ნაშთის, მისი ზრდის და კლების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, 2021 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებული (ამოთიშული) რიცხვი ხელოვნურად ამცირებდა საბოლოო ნაშთს. 2022 წლის რეალური საბოლოო ნაშთის მისაღებად საჭირო გახდა შესაბამისი მუხლის ზრდაში შეგვეტანა იგივე რიცხვი დადებითი ნიშნით - 736 072 ლარის ოდენობით (რითაც 2021 წელს ელიმინირების მიზნით შემცირებულია საბოლოო ნაშთი).

შიდაჯგუფური მონაცემების დამუშავების პროცესში გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში ერთმანეთის ტოლი არ არის მოკორესპონდენტო ოპერაციის ჯამური თანხები. მაგალითად, მოთხოვნები განსხვავდება ვალდებულებებისგან, რისი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება იყოს შეძენილი მომსახურების/საქონლის ფარგლებში დღგ-ს ჩათვლა, 18%-გან განსხვავებული პროცენტით (მაგალითად: თვის პროპორციით გამოყვანილი პროცენტით, რომელიც ყოველი თვისთვის განსხვავებულია, რადგან გამოიანგარიშება ერთეულის შესაბამისი თვის ბრუნვის მიხედვით). გამოვლენილი განსხვავებები ძირითადად არაარსებითია. ასეთ შემთხვევებში, კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოთიშვას ექვემდებარება მათ შორის უმცირესი მონაცემი. სხვა შემთხვევაში დაირღვევა საბალანსო ტოლობა

„ა“ = „ვ“ + „კ“ („ა“ - აქტივი, „ვ“ - ვალდებულება, „კ“ - კაპიტალი).

იხ.დანართი N1 და დანართი N2 (ორი ფურცელი)

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს
უფროსი (მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი) ვალიდა კოროშინაძე

თარიღი: 27.04.2023

დანართი N1

ინფორმაცია სსიპ ადსრულების ეროვნული ბიუროს 2022 წლის მიმდინარე და დასრულებული სასამართლო დავების შესახებ

#	დავის თანხა	დავის ვალუტა	საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა სრული			სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა სრული			უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა სრული			დავის სტატუსი (სარჩელი არ დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა/მიმდინარე/სხვა)	სტატუსი „სარჩელი დაკმაყოფილდა"-ს შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა	სტატუსი „სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა"-ს შემთხვევაში, მოსარჩელისთვის დაკისრებული თანხა (გასაჩივრებისას ბიუროს მიერ გაწეული საპროცესო ხარჯი) ჩვენს სასარგებლოდ	შენიშვნა
			გადაწყვეტილების თარიღი	თანხა	ვალუტა	გადაწყვეტილების თარიღი	თანხა	ვალუტა	გადაწყვეტილების თარიღი	თანხა	ვალუტა				
1	614 000	GEL										მიმდინარე			განსახილველ დავაში ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებს განკარგულების უკანონობას. დასახელებული განკარგულების კანონიერება დადასტურდა უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 2 ივლისის განჩინებით (ჟბს-681(კ-19). მოუხედავად, იმისა, რომ საქალაქო სასამართლო დავის არსებითი განხილვა ფაქტობრივად არ გაგრძელებულა/დასრულებულა, უდავოა, რომ ზიანის საფუძვლად მითითებული აქტის კანონიერება დადასტურდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ეს გარემოება კი სავარაუდოს ხდის სარჩელის წარუმატებლობას.
2	100 000/6050.74/3000	$/GEL/GEL	25.03.2021	100 000/6050.74/3000	$/GEL/GEL	12.04.2022	100 000/6050.74/3000	$/GEL/GEL				მიმდინარე			გასაჩივრდა საკასაციო წესით. პირველი მოგებული იყო და აპელაციაში წაგებული
3	2 064 506.5	GEL	06.02.2018	475 518.54	GEL	19.10.2022წყალი	475 518.54	GEL				მიმდინარე			გასაჩივრდა საკასაციო წესით
4	200	GEL	19.11.2019	200	GEL	01.11.2021						მიმდინარე			გასაჩივრდა საკასაციო წესით
5	4900/8400/170/150/480	GEL	23.10.2020			22.03.2022	2250/500/100/400	GEL				მიმდინარე			გასაჩივრდა საკასაციო წესით. პირველი მოგებული იყო და აპელაციაში წაგებული
6	8 600	GEL										მიმდინარე			თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოება არ დასრულებულა
7	18000 / 5626	$/GEL										მიმდინარე			გასაჩივრდა საკასაციო წესით. პირველი მოგებული იყო და აპელაციაში წაგებული
8	200 000	GEL										მიმდინარე			
9	დღეში 36 აშშ დოლარი											მიმდინარე			
10	4 900	GEL										მიმდინარე			
11	65 780	$										მიმდინარე			
12	9 739.52	GEL	31.05.2018	9739.52	GEL	25.10.2022	9739.52	GEL				მიმდინარე			
13	26228.63	USD	20.01.2022									სარჩელი არ დაკმაყოფილდა			არ არის შესული კანონიერ ძალაში
14	147546.00	GEL	22.06.2021									სარჩელი არ დაკმაყოფილდა			არ არის შესული კანონიერ ძალაში
15	67506.20	GEL	18.10.2021									სარჩელი არ დაკმაყოფილდა			არ არის შესული კანონიერ ძალაში
16	50000.00	GEL	21.09.2021			11.11.2022						სარჩელი არ დაკმაყოფილდა			არ არის შესული კანონიერ ძალაში
17	3000	GEL	09.03.2018	0.00		18.04.2019	3100.00	GEL	03.05.2022	3100.00		სარჩელი დაკმაყოფილდა			შესულია კანონიერ ძალაში
18	16 172	GEL				31.05.2022	15 838.20 /1047	GEL	19.10.2022	15 838.20 /1047		სარჩელი დაკმაყოფილდა			შესულია კანონიერ ძალაში

დანართი N2

ინფორმაცია სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის 2022 წლის მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ

N	მოსარჩელე	მოპასუხე	დავის მოკლე აღწერა	სარჩელის თარიღი, საქმის ნომერი	სარჩელის თანხა	საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება		სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება		უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება		გადახდილი თანხა	შენიშვნა
						გადაწყვეტილების თარიღი	თანხა	გადაწყვეტილების თარიღი	თანხა	გადაწყვეტილების თარიღი	თანხა		
1	აკაკი ჩარგეიშვილი	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	საჯარეტენზიო კომისიაში გასაჩივრებული ტესტთაგან მინიმუმ ერთი პასუხი ჩაითვალოს სწორ/სამართლიან პასუხად, რის შემდეგაც დაძლეული იქნება 75 ქულიანი ბარიერი და გადაბდისუუნარობის პრაქტიკოსტან საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება	23.07.2021წ საქმის N3/4664-21	არაქონებრივი დავა	01.12.2021წ საქმე3/4664-21, მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილი, დავა მიმიდინარეა	-					არაქონებრივი დავა	გადახდისუუნაროზის პრაქტიკოსთა სასწავლო კურსის ფარგლებში, ტესტირების შედეგი გასაჩივრდა, კერძოდ აპლიკანტმა მიიღო 74 ქულა, დადგენილი ბარიერის გადასალახად დააკლდა 1 ქულა. შესაბამისად, გასაჩივრდა 26 ტესტური დავალება, იმ მოტივით, რომ რომელიმე 1 მაინც დაკმაყოფილდეს. სარჩელზე წარდგენილია ცენტრის მხირდან შესაგებელი. **2022 წლის 30 მარტის მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე. სასამართლოს განჩინებები არ ჩაჰბარებია ჯურ-ჯერობით მხარეს, ამდენად, არ არის ცნობილი ისარგებლეს თუ არა გასაჩივრების უფლებით.**
2	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	შპს ნიკა 2016 (საიდ კოდი 405175359)	შპს ნიკა 2016-ის დაეკისროს ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება **149851.86** ლარის ოდენობით	17.11.2021წ საქმე 2/31576-21	ქონებრივი დავა	25.11.2021წ, განჩინება საქმეზე N2/31576-21, მოსამართლე - ზაზა მარტიაშვილი, დავა მიმიდინარეა	**149851.86 ლარი** (მათ შორის, ზიანის ანაზღაურება 126675.63 ლარი, სახურავის დაზიანების საფუძველზე სარემონტო სამუშაოები -14882.23 ლარი, მიუღებელი შემოსავალი 8294 ლარი).					**149851.86 ლარი** (მათ შორის, ზიანის ანაზღაურება 126675.63 ლარი, სახურავის დაზიანების საფუძველზე სარემონტო სამუშაოები - 14882.23 ლარი, მიუღებელი შემოსავალი 8294 ლარი).	ყვარლის სასწავლო ცენტრის სახურავის სარემონტო სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების მიზნით, გამოწვეული ზიანის მოცულობიდან გამომდინარე იუსტიციის სასწავლო ცენტრმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს "ნიკა 2016" - სთვის ზიანის თანხის დაკისრების თაობაზე. სარჩელის ფასი დადგინდა: 1. ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროს დასკვნების საფუძველზე, კერძოდ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის მოცულობა და წყლის ჩადინებით გამოწვეული შიდა სარემონტო სამუშაოების ზიანის მოცულობა 2. მიუღებელი შემოსავალი, რაც დადგინდა 2021 წლის ნოემბერი-დეკემბრის თვეში გაუქმებული ყვარლის სასწავლო ცენტრის ჯავშნების საფუძველზე (სასამართლოში წარდეგნილია ინვოისები). დავის ფარგლებში ზიანის ჯამური ოდენობა შეადგენს **149851.86 ლარს**. სასამართლომ დააკმაყოფილა ცენტრის სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა და ზემოაღნიშნულ თანხაზე ყადაღა დაედო მოპასუხის ანგარიშებს სს "საქართველოს ბანკში". ამასთან, სასწავლო ცენტრის მოთხოვნის შესყიდვების სააგენტომ შესყიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გაფრთხილება გამოუცხადა შპს ნიკა 2016-ს. **2023 წლის 07 მარტის მდგომარეობით სასამართლო პროცესი არ არის დანიშნული, მოპასუხე მხარემ, შპს ნიკა 2016-მა მოითხოვა ვადა შესაგებლის (სარჩელის პასუხი) წარდგენისთვის. დავა მიმდინარეა.**

კონსოლიდირებული ერთეულები

2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები:

- სამინისტროს აპარატი;
- სპეციალური პენიტენციური სამსახური;
- სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი;
- სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი;
- სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი;
- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო;
- სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სააგენტო;
- სსიპ – იუსტიციის სახლი;
- სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
- სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- სსიპ – საკანონმდებლო მაცნე;
- სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია:	https://sao.ge/ https://budgetmonitor.ge/ka http://blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი:	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა:	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE